№ 118 17 თიბათვე, შაბათი 1866—1878 17 თიბათვე, შაბათი № 118

ყოველ დღე ოთხშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амиралованის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амиралованის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. Бареше მცხოვრებთათვის: Въ Тиф. дирекцію. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: თფილისა—8 მან., ნახევარ წლიხა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ფასი განცხადებისა: ერთ-ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციფრითი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

მიიღება ნახევარი წლის ხელის-მოწერა გაზეთს „დროებაზე“.

ფასი ნახევარი წლის გაზეთისა (პირველ ივლისიდამ პირველ იანვრამდინ 1879 წლისა) 4 მან. და 50 კაპეიკი.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში, (სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амиралованის სახლებში, № 8). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

უმოწრჩილესად ვთხოვთ იმ ხელის-მოწმწერლებს, რომელთაც მარტო ნახევარი წლის გაზეთის ფული აქვთ შემოტანილი, რომ, თუ ჰსურთ გაზეთი თავის დროზე და დაუბრკოლებლივ მიიღონ, რაც შეიძლება დაუჩქარონ დანარჩენი (მეორე ნახევარის) ფულის შემოტანას.

ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ვენა, 14 ივნისს. „Polit. Corresp.“-ში სწერენ, რომ ოსმალეთს გადაუწყვეტია წინააღუდგეს ჯარებიან და სამხედრო სურსათიან გემების გავლას ბოსფორში შავი ზღვიდამ.

მადრიდი, 14-ს ივნისს. მაპანიის კოროლევა გარდაიცვალა.

ბერლინი, 14-ს ივნისს. რუმინიისაგან კონგრესში წარდგენილს მემორანდუმში ხუთ მუხლათ არის გამოხატული მისი მოთხოვნილება: 1) არც ერთი ნაწილი რუმინიის ტერიტორიისა არ უნდა მოაკლდეს მას; 2) რუსეთის ჯარებმა არ უნდა გაიარონ რუმინიის ტერიტორიაზე; 3) რუმინია ხელ-ახლავ მოიკავებს კუნძულებს და დუნაის ყელს ზმეინის კუნძულით; 4) რუმინია მოითხოვს დაკმაყოფილებას იმის-დაგვარათ თუ რამდენი ჯარიც გაუყვანია ომის ველზე და 5) რუმინიის დამოუკიდებლობა სამუდამოთ აღიარებული უნდა იქნეს და მისი სამფლობელო მიწებიც ნეიტრალურს მდგომარეობაში უნდა იქმნენ.

საქართველო

ვის დარჩება ბათუმი?

მას აქეთ, რაც რუსეთსა და ოსმალეთს შუა სან-სტეფანოს მორიგება მოხდა, არცერთს ამ მორიგების მუხლზე არ ყოფილა იმდენი ლაპარაკი, რამდენიც ბათუმის თაობაზედ იყო.

ოსმალეთმა მაშინ დაუთმო რუსეთს ბათუმი და ზემო-ხსენებულის პირობის ძალით, ჯარი უნდა გაეყვანა იქიდამ. მაგრამ შემდეგ, როდესაც ინგლისი და ავსტრია ჩაერევნენ საქმეში, როდესაც ინგლისმა მცირე აზიის შესახებ პირობებს მოსდო კლანჭი და ავსტრიამ ბოლგარიის შესახებ პირობებსა, მაშინ ოსმალეთმაც უარი სთქვა, სხვათა შორის, ბათუმის დათმობაზედაც და გამოაცხადა, რომ, როგორც ევროპის სახელმწიფოებისაგან შემდგარი კონგრესი გადასწყვეტს, დავმორჩილდებიო.

ამ კონგრესსაც ძოვესწარით. ევროპის ექვსი უმთავრესი სახელმწიფოს წარმომადგენელნი არიან ამ ჟამად ბერლინში შეკრებილნი აღმოსავლეთის საქმეების გადასაწყვეტად. ხმა გავარდა, რომ ინგლისი ბათუმის შეძენაზედ არ ეწინააღმდეგება რუსეთსო; თუ ეს მართალია, თუ მართლა ინგლისი დათანხმდა, რომ რუსეთმა ბათუმი შეიძინოს, რალა თქმა უნდა, რომ დანარჩენი სახელმწიფოებიც ამის წინააღმდეგს არაფერს იტყვიან.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ ახლა ოსმალები აცხადებენ, რომ, თუნდაც გადაწყვიტოს კონგრესმა ბათუმის დათმობა, ჩვენ თანახმა არა ვართო, ძალად ვერ აიღებს იმას რუსეთი და ნებით არ დავანებებთო; ჩვენ დარწმუნებული ვართო, რომ რუსეთი მარტო ბათუმისათვის ხელ-ახლად ომს არ დაგვიწყობსო, და ამნაირად ბათუმი კიდეე ჩვენ დაგერჩებაო.

ამ ნაირს მდგომარეობაშია ახლა ბათუმის საძმე. . . . . .

თუ სხვა რამ დაბრკოლება არ იქნა, აგრეთვე არავინ ჰკითხავს, რასაკვირველია, ბათუმის მაზრის მცხოვრებლებს — ჰსურსთ იმათ რუსეთის ქვეშევრდომობა თუ არა; მაგრამ უბედურება ეს არის ამ მხრით რუსეთს სხვა დაბრკოლებაცა აქვს.

ბუშინდელს „ომის ამბებში“, სხვათა შორის, მოყვანილია რუსეთსა და ინგლისს შუა „დათანხმებიდამ“ ორიოდე მუხლი, რომელშიაც ბათუმის თაობაზე ნათქვამია, რომ „ინგლისი არ ეწინააღმდეგება რუსეთს ბათუმის შეძენაზედაო, მაგრამ ამასთანავე არ შეუძლიან არ აღიაროს ისიცაო, რომ ეს გარემოება უკმაყოფილებასა და აღელვებას დასთესს აზიის ოსმალეთშიო“. ამას დიპლომატიური ენა ჰქვიან. ამბობენ, დიპლომატიური ენაც მზათა აქვს ინგლისსაო; ამბობენ, რომ ინგლისი პირმოთნეობით თანხმდება ბათუმის დათმობაზედაო, ნამდვილად კი ოსმალეთს აქეზებს და ურჩევს, რომ არამცა-და-არამც ბათუმი არ დაუთმოთო, გაჭირების დღეს დაგეხმარებითო და სხვ.

ამ გვარად, თუ მართლა ოსმალეთი თავის სიტყვებზედ მტკიცედ დადგა, შესაძლებელია, რომ ინგლისმა და მთელმა ბერლინის კონგრესმა, მთელმა ევროპამაც მისცეს რუსეთს ბათუმის დასაკუთრების უფლება და მაინც უომოთ, უბრძოლველად, სისხლის დაუღვრელად მაინც ვერ დავპატრონოს ამ დიდიხნით სანატრელ შავი ზღვის საუკეთესო ნავსადგურსა...

ს. ვ.

დღიური

*** ქუთაისიდამ გვატყობინებენ, რომ იქაურ აღმინისტრაციას ამ ერთის კვირის წინათ მისვლია უმაღლესი მთავრობის ბრძანება მილიციისათვის ხალხის მოკრებისა.

მთელი ქუთაისის გუბერნიიდამ ორიათას კაცზე მეტი უნდა გაიყვანონ, აქედამ მარტო ქუთაისის უეზდში ხუთასი კაცი იკრიბება.

მილიციონერებს ჰკრებენ ისეთისავე წესით, როგორც თფილისის გუბერნია-

ში, ე. ი. ჯერ არდგენენ სიას—თუ თითოეულ საზოგადოებაში რამდენია ისეთი პირი, რომელთაც კანონით უნდა ეყაროს კენჭი და მერე ამ ხალხს უყრიან კენჭს და რამდენიც მოხვდება, იმდენს აარჩევენ.

კენჭის-ყრის დროს ყოველ საზოგადოებაში უნდა დაესწროს ან თვითონ უეზდის უფროსი, ან მისი თანაშემწე და ან პრისტავი.

სრულს იმედს გვწერენ, რომ იმერეთში და არც სხვაგან სადმე ძუთაისის გუბერნიაში ისეთი უწესოება არასოდეს არ მოხდებაო, როგორიც სამწუხაროთ ამ 4 ივნისს მოხდა ჭიზიყშიო.

*** მოგეხსენებათ, რომ აქაურ საპყრობილეებში, სხვათა შორის, შეშა ქალაქის ხარჯით არის; ქალაქმა უნდა წარადგინოს თითოეულ საპყრობილეში რამდენიც მთავრობისაგან დანიშნულია, იმდენი საჭენი.

მეტეხის ციხისათვის წელს ქალაქს 50 საჭერი შეშა უნდა დაემზადებინა; ქალაქს გაეზრახვა ჰქონდა, რომ იჯარით მიეცა ვისმესთვის ამ შეშის მოტანა. მაგრამ, რადგან ფასი თითო საჭენისა 26 მანეთი იყო დანიშნული, რასაკვირველია, ამ ფასად შეშის მოტანის მსურველს ქალაქი ვერ იშოვიდა და ძალა-უნებურად მეტი უნდა მიეცა.

ახლა ჩვენ შევიტყეთ, რომ თვითონ მეტეხის ციხის ზედამხედველს გამოუცხადებია სურვილი, რომ მე ავიღებ ამ ფასათაო.

ბასაკვირველია ამ გვარი გულ-კეთილობა უფ. მეტეხის საპყრობილის სმოტრიტელისა! ბასაკვირველია, იმიტომ რომ, როგორც მოგეხსენებათ, ამჟამდ ქალაქში საჭენ შეშას 35-40 მანეთ ნაკლებ კაცი არ დადგამს და ეს ზედამხედველი კი 26 მანეთად კისრულობს! მაშა სადმე გამოდის, რომ თითოეულ საჭენზე უფ. ზედამხედველმა უკანასკნელი ერთი თუმანი მაინც უნდა დაადვას თავისი საკუთარი ჯიბიდამ!

მაგრამ ამბობენ, რადგან ეს ზედამხედველი თვითონ მიმღები არის იმ შეშისა, რომელიც ქალაქმა უნდა დაუდგას მეტეხის ციხეს და თვითონვე მეიჯარადრეც იქნება, ამის გამო იოლათ გამოვაო!.. იკითხონ ტუსაღებმა...

*** იმერეთიდამ გვატყობინებენ, რომ წელს იქითკენ ყველგან ჩინებული მოსავლის პირი სჩანსო; სიმინდი, ღომი და ვაზი ჯერ-ჯერობით ძალიან „გახარებული“ და ბლომათაც არისო, თუ შემდეგში გვალვამ ან სხვა რამე მიზეზმა არ აზარალაო.

*** იქიდამვე და აგრეთვე ბურიიდამ და სამეგრელოდამაც მოსული წიგნები გვატყობინებენ, რომ ამ მხარეებისაკენ, სხვათა შორის, აბრეშუმისაც კარგ მოსავალს მოელიან. წელს აბრეშუმის ჭიის (კვერცხის) ავათმყოფობა ჩვენში არსად გამოჩენილა; საუბედუროთ წასული წლების ჭიის ავათმყოფობისაგან შეშინებულმა ხალხმა წელსაც ცოტა ჭია მოაშენა, თორემ აქეთკენ ძალიან ბევრი აბრეშუმი მოვიდოდაო წელს, რადგან ჩინებული ტაროსიც დაუდგაო.

*** იქნება გნებავდეთ გაიგოთ—თუ როგორ ატარებენ ზოგიერთ ჩვენს უეზდის ქალაქებში დროებას? აი მინუში:

დუშეთში შეკრებილა ამას წინათ რამოდენიმე იქაური ქართველ-სომხები, გამოუღიათ თითოს რამოდენიმე ფული, მოუმზადებიათ სადილი, ღვინო და სხვა ყველაფერი, და როგორც რიგია, მოგროვილან ერთ ბაღში და დაუწყვიათ სმა, ჭამა და დროების გატარება. ამ დროს იმათში შერეულა ერთი ვიღაცა პირი, რომელიც კამპანიას დაუპატიჟნია და დაუსვამს საქეიფოთ, მაგრამ იმ პირობით, რომ სანამ სადილი არ გათავდება, ხმა არ უნდა ამოიღოვო, და თუ ამოიღე ხმა, მაშინ რაც ღვინო დღეს დაგვეხარჯება, იმის ფასი შენ უნდა მისცეო. ისიც დათანხმებულა. მაგრამ სადილი თავდებოდა თითქმის, და იმას ერთი ყლუპი ღვინოც არ აგემეს; პირობა ჰქონდათ თურმე ერთმანეთში, რომ ღვინო არ ვასვათ და იქნება ითხოვოს და ხმა ამოიღოსო. ითმინა, ითმინა ამ კაცმა, მაგრამ ბოლოს ველარ მოითმინა, ერთი დაიყვირა:—თქვენ ოჯახდაქცეულებო, ერთი წვეთი ღვინო მაინც დამალევინეთო! ქამპანიამ შექნა ყვირილი: „წააგო! წააგო! ღვინის ფული გადაიხადოს!“ შეიქნება ერთი აყალ-მაყალი, ყვირილი, ღრიალი; ბოლოს გაბრაზებული სტუმარი აიღებს სამარილეს და ერთს ვილასაც თვალებში შეაყრის მარილს. ახლა კი ჩხუბისა და მუშტიკრივის მეფობა დადგება...

ასეთია ჩვენი ხასიათი: ყველაფერს წყნარად, მშვიდობიანად, მეგობრულად დავიწყებთ, მაგრამ ბოლოს კი ყოველთვის განხეთქილება და მუშტის-კრივი შემოგვერევა...

*** ჭიზიყის არეულობის შესახებ გაზ. „ივერიაში“ იწერებიან:

„მოგეხსენებათ, ჩემო მკითხველო, რომ ყველა საქმეს აქვს თავისი შესაფერი საზღვარი; იგი აქვს აგრეთვე მოთმინებასაც. შარშანდელმა მილიციის გამოყვანამ და მისთვის ხარჯის მიცემამ ნათლად დაგვანახა თუ რამდენი ბოროტობა იხმარეს მამასახლისებმა და რამდენად შეავიწროეს ხალხი თავიანთ უსინიდისო ქცევით. ამის დასამტკიცებლად დღესაც იპოვით სოფელში მოჩივარ პირებს, რომელთაც თავიანთი შვილები სოფლის ჯამაგირით გაუგზავნიათ მილიციაში, მაგრამ მათი ჯამაგირი კი ჯერ სრულებით არ მიუღიათ,— მოჩივარ პირებს-მეთქი, რომელთა მშობლები ყოველ ჟამს მამასახლისის კარებზედ სდგანან და სთხოვენ თვისთა შვილების ხვედრს ჯამაგირს; მაგრამ, მაგიერ მშვიდობიანის პასუხისა, პასუხად ლანძღვას ისმენენ და დღე-დღეურათ ამით კმაყოფილდებიან.

„ხალხისათვის ამ გვარი. მაენებელი გარემოება მთავრობამ ნათლად დაინახა და ამიტომ უფრო გონიერული განკარგულება მომხდინა. ეს განკარგულება მდგომარეობს იმაში რომ „მილიციის გამოყვანა დაქირავებით არ შეიძლებაო, არამედ კენჭის-ყრით უნდა მოხდესო“.

„ეს განკარგულება შაიქმნა სილნაღელებისათვისაც აუცილებელ ვალად. ეს ახალი ამბავი ამ ჩვენ მწუწნავ მოვაჭრეებს არ მოეწონათ, ამიტომ დაიწყეს გაძრომ-გამოძრომა, რომ როგორმე ეს აუცილებელი ვალი თავიდგან გადაეცდინათ. აქისათვის პირველში ისინი შეუდგნენ ფულების შეკრებას ბაღლების დასაქირავებლად. მაგრამ ეს თავიანთი გველური აზრი ამათ ვერ აასრულეს მაზრის უფროსის უარის თქმის გამო. ეს პირველი განზრახვა რომ ვერ შეასრულეს, შემდეგ დაიწყეს ვადის თხოვნა მოსაფიქრებლად, რომელიც მალე მიიღეს კიდეც მთავრობისაგან.

„წარმოიდგინეთ, ჩემო მკითხველო, ამ დროს, როდესაც სილნაღელებს ვადა ეძლევათ, მაშინვე გლეხებს მოსთხოვეს კენჭის-ყრა. ეს სილნაღელებისათვის მინიჭებული ვადა სოფლის მოვაჭრე დედაკაცებს სხვაფრივ აუხსნიათ თავიანთ მამაკაცებისათვის, ე. ი., ვითომ სილნაღელებისათვის სრულებით უპატიებიათ მილიციის გამოყვანა და მათ მაგიერად სოფლელებმა უნდა იკისრონო.

„როგორც სჩანს, მამასახლისებს ვერ აუხსნიათ რიგიანათ და გასაგებად ხალხისთვის ახალი მილიციის გამოყვანა და ხალხს გადაუკეთებია თავისებურათ და დაურქმევია „სალდათობა“.

„რასაკვირველია, კენჭის-ყრის დროს საჭირო იყო სია, რომელშიაც ჩაწერილნი უნდა ყოფილიყვნენ 18 წლიდან 30 წლამდე ყმაწვილ-კაცები. ეს სიები გადმოუწერიათ კამერალიის აღწერის სიებიდგან, სადაც, როგორც ვიცით, ბევრი შეცდომაა წლოვანებაში. ამის გამო კენჭში მოჰყვნენ იმისთანა ყმაწვილებიც, რომელნიც 15-16 წლისაც არ არიან, ბევრი კი 32 წ. გამოდიოდა 25 წლოვანათ. ამასთან მოჰყვნენ კენჭში დედის-ერთანი და ოჯახის ერთადერთი მამაკაცნიც. თუმცა უკანასკნელებს ვერ წაიყვანდნენ მილიციაში, მაგრამ კენჭში კი მაინცა-და-მაინც უნდა მოჰყოლოდნენ. მამასახლისებს ესეც რიგიანათ ვერ აუხსნიათ ხალხისთვის, რომელიც დარჩომილა ამისათვის უკმაყოფილი.

„ხალხის უწესოების მიზეზიც ყველა ეს არის. ხახლს ვეღარ მოეთმინა ამოდენა გაჭირვების ატანა და აგრეთვე თავის მამასახლისების უსამართლო ქცევა, და ამისათვის წამოსულა რავდენიმე სოფელი სიღნაღში მაზრის უფროსთან თავიანთ დარდების ასახსნელად და გასაგებათ. მაგრამ ეს უფროსი ვერ ენახათ და წასულიყვნენ იქ, სადაც ეგულებოდათ, ე. ი. ს. ბაკურციხეს თ. რევაზ ვაჩნაძესთან.

„მე თვითონ შემხვდა ეს ხალხი, რომელიც ყვიროდა

— „ქენჭი არ გვინდაო, თუ ნებავს ხელმწიფეს, ქუთზედ კაცი დაიძახოს და სიამოვნებით გავალთო.“ მე ამათ მოკლეთ ურჩიე—ნუ აშფოთდებით-მეთქი, მშვიდათ სთხოვეთ უფროსს მთავრობასთან შემწეობა გაგიწიოსთ, მეთქი, და უწესობა არა მოახდინოთ-რა-მეთქი. ამაზედ ზოგიერთმა წამოიძახა;

—„არა ბატონო, ღმერთმა დაგვიფაროს უწესოებისაგან, ჩვენ ამისთვის სულაც არ გიახელით; ჩვენ მივდივართ გავაგებინოთ ჩვენ ნაჩალნიკს ჩვენი გარემოება დავთხოვოთ შემწეობა გაგვიწიოს მთავრობასთან.

„ეს ხალხი იყო უარაღოთ და ასე გაშინჯეთ, ჩემო მკითხველო, რო ზოგს წკირიც არ ეჭირა ხელში. ნუ დავიწყებთ, რომ ამოდენა ხალხში როგორც დარბაისელნი და პატიოსანნი იყვნენ, ისე კიდევ გულ-ჩქარნი და გულ-მსუბუქნიც. როგორც შევიტყე, ამ უკანსკნელებს ამაყათ და წინდაუხედავათ დაუწყვიათ ლაპარაკი და ბოლოს უპატიობაც მიუყენებიათ თ. ორბელიანისთვის, მაზრის უფროსისთვის და სხვა თ. რევაზ ვაჩნაძის სტუმრებისათვის.

„ამისთანა ურიგო ქცევისთვის ზოგიერთ დაუჭერიათ ბუნტი, და მოუთხოვნიათ ბატალიონები დასამშვიდებლათ. მაგრამ ისენი უამათოთაც ამ საღამოთითვე დამშვიდდნენ. მაშასადამე გაბედვით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ აქ ნასახიც არ არის ბუნტისა, არამც თუ ნამდვილი „ბუნტი“ ყოფილიყოს, როგორც ფიქრობენ ზოგიერთნი. ეს ყველაფერი შემთხვევა ესიამოვნებათ ვაჭრებს და ამიტომ ესენი უფრო გულ-მხურვალეთ ლაპარაკობენ ამ უწესობაზედ, როგორც ბუნტზედ...“

„დროების“ კორრესპონდენცია

სიღნაღი, 13 თებათვეს. ნეტავი ერთი გაგატარათ ამ ჩვენ სიღნაღის ქალაქში და მაშინ ვნახავ-რა შთაბეჭდილებასაც მიიღებთ, თორე ეხლა რაც უნდა ვილაპარაკო, ზოგი იქნება ყურს არაკეკ მომიგდებს, ზოგს კი სიცილათაც არ ეყოფა. მაგრამ მე მაინც ჩემსას ვიტყვი.

ჯერ შემობრძანდებით თუ არა ქვეშა დაყრილი გზით, ნახავთ აქ ბლომათ ნაგავს; მერე ამოიღლით მეიდანზე, ან უკეთ ვთქვათ, სალაყბოზედ; აქ მშვენიერი მუშკამბრის სუნი გეცემათ, რომელიც არა ნაკლებ ყათლანისა (სკიპიტარი) დაგბნედთ. აქვე ნახავთ, რასაკვირველია, ამ წმინდა ჰაერით გაბღინძულ დეპუტატებს, რომლების გარეგნული ცრუ შეხედულება გაფიქრებინებს, ვითომ მთელი ქვეყნის მეცნიერება სულ ამათ თავში იყოს; მაგრამ გარწმუნებთ რომ თავის სარქველი რომ ახადოთ, არამ თუ მთელი ქვეყნის მეცნიერებას ვერა ნახავთ, არამედ ქალაქის სამყოფსაც ვერ იპოვით! ამას გვიმტკიცებს ამათივე მოქმედება.

ახლა გადავცდეთ ამ ქვეშა დაყრილ გზას და შეუაროთ ვიწრო ქუჩებს. აქ ნახავთ ოღრო-ჩოღრო გზებს ნაგვით და სხვა-და-სხვა სიბინძურით სავსეს და რაც გინდა ბევრი ეცადო, ისე ვერ გახვალ შინაგან ბაზარში, რომ ფეხი არ სად ხრამში არ ჩაგივარდეს და წაღის ქუსლი არ მოიგდებინო. ამას დღეზედ გელაპარაკებით. ახლა დავიწყოთ ღამეზედ.

სადაც დღე არის ამისთანა საფრთხილებელი სავლელი გზები, აქ ღამე რაღა უნდა იყოს? ღმერთმა დაგიფაროსთ, ჩემო მკითხველო, თუ უცხოც ბრძანდებით, ღამით ამ ქალაქში მემოსვლა ფეხით. მოიმედე უნდა იყო, რომ ან ხრამში გადავარდები სადმე, ან სიბინძურეში დაისვრი ფეხებს, ან კიდე ამ სიბნელეში აქათ-იქით კედელზედ ძგერებისაგან, თავ-პირ დამტვრეული ძლივს მიახწევ სასტუმროამდის.

საშინლათ მიკვირს, რატომ ქალაქი ამაწედ ხმას არ იღებს!? ბანა ამ საჭი რებაებისთვის ფულს არ იღებს? როგორც ვატყობ, თვითეეული აქაური მცხოვრები იმას ფიქრობს, ეს ჩემი აუცდენელი ვალი კი მოვიშორო და ჩემი ჯიბე კარგათ გავტენოო, და ქალაქს ჯანიც გავარდნია, ოღონდ მეკი არა დამიშავდეს რაო.

ამათი დეპუტატებიც სწორეთ იმნაირათ ფიქრობენ. ესენი ამბობენ: ღმერთი სარჩოს გვაძლევსო და ჩვენ ძალათ გადაეყაროთო, როდესაც ხმას არავინ იღებსო! ამ ქალაქის გასაწმენდ და გასანათლებელ ფულს ჩვენ მივირთმევთო და ქუჩაში უნდ ორმოცმაც რომ კისერი მოიტეხოს, ჩვენ რაო!

ამ ნაირი ბედნიერი მდგომარეობით ხელ-ახლა მდიდრდებიან, ერთხელ გაკოტრებული დეპუტატები და ეს საწყალი სიღნაღის მცხოვრებლები კი ამას ვერ გრძნობენ.

მნახველი

ომის ამბები

ომის შემდეგ

ბუშინდელს „ქავკაზში“ დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმა:

„ა რ ზ რ უ მ ი, 14 ივნისს. „მოსკოვის უწყებებში“ და „ბოლოზში“ დაბეჭდილია რამდენიმე კორრესპონდენცია, რომელშიაც იწერებიან, ვითომც აქ მყოფი რუსები ძალიან საშიშარს მდგომარეობაში არიან. სწერენ, ვითომც აქ მუდამ დღე ჰხოცდნენ მაჰმადიანები რუსებსა, ვითომც მაჰმადიანებს... რაც შეთქმულობა აქვთ რუსების წინააღმდეგ და ამის გამო არზრუმში ჩვენმა მთავრობამ 20 საპატიო მაჰმადიანი დაატუსაღაო და სხვ.

„ყველა ეს ამბები მოგონილი ამბებია და აშკარა სიცრუე. მას აქვთ, რაც ჩვენ დავიჭირეთ არზრუმი, აქაური მცხოვრებლები წყნარად, მშვიდობიანად ცხოვრებენ და მუდამ დაუყოვნებლივ ასრულებენ ჩვენს მოთხოვნილებას. ქალაქში სრული წესიერება და მშვიდობიანობა ჰაუფეეს. არც ერთი კაცი არავის მოუკლავს. არც ერთი საპატიო და გავლენიანი ადგილობრივი მცხოვრები ჩვენ არ დაგვიტუსაღებია. ძალიან იშვიათად ხდება ისეთი შემთხვევა, რომლისგანაც შეიძლება გამოიყვანოს კაცმა, რომ მაჰმადიანებს ეჯავრებათ რუსები. ოვა თვის განმავალობაში მთელს არზრუმის მაზრაში მხოლოთ ხუთჯერ მოხდა ცარცვა და კაცის მკვლელობა და ისიც ისევ ადგილობრივ ხალხს შუა.“

არზრუმის მაზრის სამხედრო ღუბერნატორი
ლენ.-მაიორი ლუბოვსკოი.

—

ლონდონის გაზეთს „დაილი ნეუსში“ დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა სტამბოლიდამ მიღებული:

„აქ მოვიდა ტრაპიზონიდამ ამბავი, რომ ლენერალი ქომაროვი დიდს მზადებაში არის ბათუმისკენაო. დერვიშ-ფაშა და სტამბოლიდამ გაგზავნილი ოსმალოს აგენტები ამ ჟამად ბათუმში არიან და არწმუნებენ ხალხს, რომ იმათი ქვეყანა თავის დღეში რუსებს არ ჩაუვარდებათ ხელში.“

—

რუსულ გაზეთს „ახალ დროებაში“ მოყვანილია შემდეგი ტელეგრამმა 8 ივნისს ბერლინიდამ მიღებული:

„ბუშინ კონგრესს კიდევ ბოლგარიის თაობაზე ჰქონდა სჯა. ავსტრიამ შეიტანა წინადადება, რომ მოხდება თუ არა მორიგება, რუსეთმა იმწამსვე უნდა გაიყვანოს თავის ჯარები რუსჩუკიდამ, ვიდდინიდამ და საზოგადოთ მთელ ბოლგარიიდამ. ინგლისიც თანახმაა ავსტრიისა ამ წინადადებაში.

„ინგლისი და ავსტრია ძალიან დაახლოვდნენ ამ უკანასკნელ დღეებში; ბიკონსფილდი და ანდრასი თითქმის ერთმანეთის განუშორებელი მეგობრები შეიქნენ და ხშირი და ხანგრძლივი მოლაპარაკება აქვთ.“

—

გაზეთს „Indép. Belge“-ში იწერებიან:

„სომხის პატრიარქმა გაგზავნა სტამბოლიდამ ბერლინში დელეგატი პაპასიანი, რომელსაც მინდობილი აქვს, რომ კონგრესსის წინაშე დაიცვას სომხების უფლება და მოთხოვნილება.

„სომხების აქაურმა ნაციონალურმა კრებამ შეადგინა სია იმ მოთხოვნილებისა და რეფორმებისა, რომელსაც თხო-

ულობენ სომხები და რომელნიც ხსენებულმა დელეგატმა ბერლინის კონგრესს უნდა წარუდგინოს.“

—

ბაზეთს „ბოლოსში“ არზრუმიდამ იწერებიან, რომ თვითონ ამ ქალაქსა და იმის არე-მარეებს ამ ჟამად ასუფთავებენ, რაც მკვდრები იყო ბრძოლის დროს დასაფლავებული და ან დახოცილი პირუტყვები, ამათთვის ღრმად სთხრიან მიწას და იმაში მარხავენო.

ამავე კორრესპონდენტის სიტყვით, რაც მცირე აზიაში ჩვენი ავათმყოფები ყოფილა, თითქმის ყველა გამიჟუსტუძრებიათ იქიდამ ზოგი კავკასიაში და ზოგიც რუსეთში გადასაყვანათ.

განცხადებანი

თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ იმის თანდასწრებით ამ ივნისის 21-ს დანიშნულია მხოლოთ ერთხელ ვაჭრობა (ტორგი) იმ საქალაქო მიწის იჯარით (არენდით) მიცემაზედ, რომელიც ქუკიაში მდებარეს.

ვისაც დაწერილებით შეტყობა ჰსურს პირობისა ან გაცნობა მამულისა, შეუძლიან მიმართოს ქალაქის გამგეობის კანცელარიაში. ხსენებული მამული სამი წლის ვადით მიეცემა მსურველს იჯარით.

(3—2)

კირი

გასასყიდი, ვისაც ჰსურს, შეუძლიან იყიდოს ქუკიაში, ნიკოლაევის ქუჩაზე, საცა ვ. ლ. პოტკოვის სპირტის სარდაფია, სახლის № 44.

ისყიდება თფილისში „ცენტრალურს წიგნის მაღაზიაში“ ქართული

„სამზარეულო წიგნი“

შედგენილი კნა ბარ. ჯორჯაძისაგან. ფასი ათი შაური.

ისყიდება თფილისში „ცენტრალური წიგნის მაღაზიაში“ ქართული **სამზარეულო წიგნი**“. შედგენილი კ-ნ. ბარ. ჯორჯაძისაგან. ფასი ათი შაური.

ახალი წიგნი

„ცოლი თუ გინდათ, ეს არის!“

ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი

ისყიდება: თფილისში—ვართანოვის წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გამოვიდა და ისყიდება

„თამარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოქმედებიანი დრამა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდამ, გადმოკეთებული ბრ. რჩეულოვის რომანიდგან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“

კ. მესხისაგან.

ისყიდება: თფილისში—ყველა წიგნი მაღაზიებში,

ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.

ამ თვის 15-ს გაიხსნა თფილისში

ქართული წიგნის მაღაზია,

სადაც მსურველთ შეუძლიანთ მოიპოვონ ყოველგვარი ქართული ძველი და ახალი წიგნები.

მაღაზია იმყოფება ქაშვეთის ეკლესიის ქვემოთ დუქნებში, № 2.

გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ დაიბარონ ყოველგვარი ქართული წიგნები შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Въ книжный магазинъ Григорія Чарквіани, въ зданіи Кашветской церкви, № 2.

გამოვიდა და ისყიდება

„ცოლი ვიტირო, თუ ფული?“

კომედია აღ. თუთაევისა

ისყიდება: ქალაქში—ყველა წიგნის მაღაზიებში და ალექს ჯიმშეროვთან, თელავს—იოსებ ქუზმანაშვილთან, ქარელს—დავით ქერობაშვილთან, ხაშურისა და ბეჟათუბნის უფეტში, სურამს—ზაქარია არუწოვთან, ქუთაისს—იაკობ ოჰანეზოვთან და სვ. ცერვაძესთან ფოთში—ილისბარ ბაბალოვთან, ცხინვალს—თ. ივ. თაქთაქოვთან, საქაშეთს—თ. ნიკ. დიასამიძესთან, მეჯვრისხევს—მასწ. მოსე ნათაძესთან, ბორში—სტ. ზომოევთან და თვითონ ავტორთან.

ან. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში

ქუთაისში—ისყიდება

ქართული წიგნი

„სამზარეულო“

შედგენილი

კ-ნა ბარბარე ჯორჯაძისაგან.

ფასი ათი. შაური

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი	9	21	5	18				
მცხეთა	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი	1	44			4	42	2	46
უვირილა	5	49			5	81	3	23
რიონი	6	57			6	75	3	75
სამტრედია	7	51			7	73	4	29
ახ.-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი	9	50			9	75	5	42
ფოთი	9	83						
ახ.-სენაკი	10	14			1	18	-	66
სამტრედია	11	5			2	6	1	14
რიონი	12	13			3	4	1	69
უვირილა	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

ოცი სიტყვა თფილისიდამ:	მ.	კაპ
ქუთაისს, ფოთს	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი)	8

მაზანდა

თფილისი, 15 ივნისს.

	მან	კაპ
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	1	40
ფქვილი წითელი	1	20
ქერი ფუთი	1	20
ბამბა ერევნისა, ფუთი	7	30
—ამერიკისა, ფუთი	8	40
ბაპენტილი ბამბა ფუთი	10	—
მატყლი თუშური ფთ.	6	50
—თარაქამისა ფთ.	4	80
აბრეშუმი ნუხური ხტ.	2	—
ქონი, ფუთი	6	60
ქონის სანთელი ფუთი	8	—
სტეარინის სანთელი, ფ.	12	70
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	99
—ცხვრისა, ლიტრა	—	99
სპირტი, ვედრო	5	20
შაქარი, ბროც. ფუთი	7	80
—ფხვნილი ფუთი	6	30
უავა გრგვალი, გირვ.	—	70
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	13	—
თამბაქო, საშუალო ფუთი	8	50

თფილისის სამკურნალო

ერევნის მაიდანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9—1 მდინ.

ორშაბათს: ქიუჩარიანეცი—ხიროურგი, ბარალეიჩი—შინაგ. ავათმყ.

სამშაბათს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფობის, რეიხი და ბახუტონი—ბებიაობის თვალის.

ოთხშაბათს: ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ., ბაკეტი—გულის და ნერვების ავათმყოფ.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ. ბავრინსკი—თვალის და ობრეტი—კბილის.

პარასკევს: ვერმიშევი—შინაგ. ავათმყოფ. ბახუტოვი და ქიუჩარიანეცი.

შაბათს: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის., რეიხი—თვალის ავათმყოფ. და ბაკეტი—გულის და ნერვების.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 Іюня 1878 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორის. მესხი.